



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N71

2015 წლის 7 აგვისტო

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 მარტის N21 განკარგულებით შექმნილი, დუშეთის მუნიციპალიტეტში მიმდინარე და განსახორციელებელი პროექტების (სამუშაოების) მონიტორინგის დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 29-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

გადაწყვიტა :

1. დუშეთის მუნიციპალიტეტში მიმდინარე და განსახორციელებელი პროექტების (სამუშაოების) მონიტორინგის განხორციელების მიზნით შექმნილი, დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილება გაგრძელდეს 1 (ერთი) თვით.

2.ეს განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი